საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №3
2013 წლის 3 აპრილი

ქ. ქუთაისი

,,ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის №299 და 2013 წლის 29 მარტის №300 განკარგულებებით მოწონებულ იქნა, შესაბამისად, საქართველოს მთავრობასა და სს„ენერგო-პრო ჯორჯიას" შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი და საქართველოს მთავრობას, სს„საპარტნიორო ფონდს", ღია სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო ეეს"-ს, სს„თელასს", შპს„მტკვარი ენერგეტიკას", სს„ხრამჰესი-1"-სა და სს"ხრამჰესი-2"-ს შორის დასადები მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმების თანახმად, ელექტროენერგიის ტარიფები უმცირდებათ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს (მოსახლეობა), რომლებიც მოიხმარენ 101 კვტსთ - ის ჩათვლით ელექტროენერგიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 2008 წლის 8 დეკემბერი, №175, მუხ. 1791) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე- 8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სს „თელასის" განაწილების ზღვრული ტარიფები

სს „თელასის" ელექტროენერგიის განაწილების ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ძაბვის საფეხური	2013 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	2017 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
220-380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი)	8,08 თეთრი/კვტსთ;	8,08 თეთრი/კვტსთ;
220/380 ვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი საშუალოდ)	6,855 თეთრი/კვტსთ;	8,08 თეთრი/კვტსთ;
6-10 კილოვოლტი	7,138 თეთრი/კვტსთ;	7,138 თეთრი/კვტსთ;
35-110 კილოვოლტი	1,8 თეთრი/კვტსთ.	1,8 თეთრი/კვტსთ".

2. 9^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას" ელექტროენერგიის განაწილების ზღვრული ტარიფები 2013 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე ძაბვების მიხედვით:

ა)	220-380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი)	_	8,08 თეთრი/კვტსთ;
ბ)	220-380 ვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი საშუალოდ)	_	5,036 თეთრი/კვტსთ;
გ)	6-10 კილოვოლტი	_	4,488 თეთრი/კვტსთ;
დ)	35-110 კილოვოლტი	_	2,794 თეთრი/კვტსთ.”

3. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. სს „თელასის“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები

1. სს „თელასის“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ძაბვის საფეხური	2013 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	2017 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
220-380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი)	13,56 თეთრი/კვტსთ;	13,56 თეთრი/კვტსთ;
6-10 კილოვოლტი	12,618 თეთრი/კვტსთ;	12,618 თეთრი/კვტსთ;
35-110 კილოვოლტი	7,28 თეთრი/კვტსთ.	7,28 თეთრი/კვტსთ.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის(მოსახლეობისათვის), რომლებიც წარმოადგენენ სს „თელასის“ აბონენტებს 220/380 ვოლტ ძაბვაზე, მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

მოხმარების საფეხური	2013 წლის 1 აპრილიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	2017 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
101 კვტსთ-ის ჩათვლით	8,034 თეთრი/კვტსთ;	11,424 თეთრი/კვტსთ;
101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით	10,56 თეთრი/კვტსთ;	13,56 თეთრი/კვტსთ;
301 კვტსთ-დან და მეტი	14,998 თეთრი/კვტსთ.	14,998 თეთრი/კვტსთ“.

”

4. 11^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები 2013 წლის 1 აპრილიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა) 220-380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) – 13,56 თეთრი/კვტსთ;

ბ) 6-10 კილოვოლტი – 9,968 თეთრი/კვტსთ;

გ) 35-110 კილოვოლტი – 8,274 თეთრი/კვტსთ.

2.მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს„ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის(მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 7,63 თეთრი/კვტსთ;

ბ)101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით - 11,00 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 14,83 თეთრი/კვტსთ.”

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 1 აპრილიდან.

თავმჯდომარე	**გურამ ჩალაგაშვილი**
კომისიის წევრი	**მაია ნადირაძე**
კომისიის წევრი	**ზურაბ გაბელაია**
კომისიის წევრი	**სერგო მესხი**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**